ხელშეკრულება №40სშ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
(CPV-22315000)

ერთის მხრივ, სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი (სკ-211358957), შემდგომში წოდებული „**შემსყიდველად**", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **თეონა იაშვილის** სახით და **არამეწარმე ფ/პ გურამ გუნდიაშვილი** (პ/ნ-01012006240) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები" ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის, ,,ა" პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში-„ხელშეკრულება")-შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.5 „**მიმწოდებელი"** - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;
1.6 „საქონელი" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2.ხელშეკრულების საგანი
ფოტო ნეგატივების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვა
(CPV-22315000)

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს-**1'104.00 (ერთი ათას ასოთხი)** ლარს, დღგ-ის გარეშე, ერთეულის ღირებულება შეადგენს- 8.00 (რვა) ლარს, დღგ-ის გარეშე.
3.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3.4.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ით.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა)უზრუნველყოს, ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონლის, კერძოდ, შემსყიდველის ცენტრალური საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის, 2022 წლის 23 მარტის ოქმი №1-ით შერჩეული 138 (ას ოცდათვრამეტი) ერთეული ფოტონეგატივის მიწოდება, კერძოდ, კოლექციაში თავმოყრილია 1967-1994-იანი წლების კადრები კინოფილმებიდან, ასევე გადასაღები მოედნებიდან, მსახიობების, რეჟისორების, ოპერატორებისა და მხატვრების პორტრეტები და ჯგუფური ფოტოები, რომელიც მოიცავს შემდეგ **ნეგატივებს:** „გრაციოზო"-1 ", „ჭა"-20 , „რჩეული"-1, „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება"-5, „დანაშაული მოხდა"-18, „დემეტრე II"-21, „კოლხური ბალადა"-3, „ვალსი პეჩორაზე"-25, „მარტივი პასიანსი"-8, „წიგნი ფიცისა"-22, „აქედანა და შენამდე"-6, „სტალინის მოგზაურობა აფრიკაში"-2, „ცისფერი მთები"-3, „ოფელიას თაყვანისმცემლებისია"-3, ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №1, სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის ადმინისტრაციული შენობა.
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2.ინსპექტირებას განახორციელებს, **სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის ესფ -ის ფორმირებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, დალი ეჯიბაძე ან/ და მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

6.საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.საქონლის მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე;

6.2.აღნიშნული დოკუმენტაციის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, განადგურებასა და რაიმე სახის ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე;

6.3.საქონლის მიღების დროს, თუ ვადის გადაცილება, გამოწვეულია მესამე პირის ბრალეულობით (მწარმოებლის დეფექტი ან/და სხვა შემთხვევა), მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს წერილობითი დამადასტურებელი დოკუმენტი მესამე პირის ბრალეულობის შესახებ და წუნი აღმოფხვრას გონივრულ ვადაში შემსყიდველთან შეთანხმებით, რაც არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად.

7.ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა-ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა-უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო - 2022 წლის საკუთარი შემოსავლები.

7.2.შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შემსყიდველის მიერ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3.შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

8.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1.თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2.იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

9.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1.წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების ან/და პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2.წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3.იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1(ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1.ნებისმიერი ცვლილება ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
10.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.დავების გადაწყვეტა

11.1.ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2.თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს.

12.ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1.შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
12.2.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3.ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საკუთარი შემოსავლების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. საერთო პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

17.მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი **მისამართი:**ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას №1 **ტელეფონი:** 238-14-25 **საბანკო რეკვიზიტები**: **ბანკის კოდი** TRESGE22 **სახელმწიფო ხაზინა** **ანგ.№** GE24NB0330100200165022 **ს/კ** - 211358957	**არამეწარმე ფ/პ გურამ გუნდიაშვილი** **მისამართი:** ქ.თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, კორპ. №8, ბინა №85; **ტელეფონი:** 555 450 718; **საბანკო რეკვიზიტები:** სს „ლიბერთი ბანკი", **ანგ.№:** GE33LB0711118728232000 **ს/კ**-01012006240